

თამარ ბარბაქაძე
(საქართველო)

**ქართული პოეზიის „მთვარე“ და „მთვარეულები“
(ზოგიერთი დაკვირვება)**

ქართული ხალხური და სალიტერატურო ლექსის გენეზისი უძველეს საუკუნეებშია საძიებელი. პოეტური ფოლკლორი ეროვნული მნიშვნელობის ლექსის ენერგიას დღესაც კვებავს და სიცოცხლისუნარიანობას მატებს; მიუხედავად იმისა, რომ კონვენციური ლექსი XXI ს. 10-იანი წლებიდან ლამის ტოტალურად ჩანაცვლა ე.წ. „ლექსმა პროზად“. ვერლიბრიც კი სანატრელი გახდა ქართველი მკითხველისათვის, რომელიც შიდა თუ გარე, ომონიმური, ეგზოტიკური რითმისა და კანონზომიერი რიტმის (მეტრის) მოლოდინს კი გადაეჩვია, მაგრამ ლექსის ტაეპებად აწყობილი, ლაკონიურად გამოთქმული ნაკვესები, სხარტულები, აფორიზმები ვერა და ვერ გადაიყვარა, ვერ მოიძულა. ასეა თუ ისე, „გაცრუებული მოლოდინი“, ლექსის ფორმის ყველა პარამეტრის – მეტრის, სტროფისა და რითმის – უარყოფამ რომ მოიტანა, ტროპული მეტყველების უკვდავებად უნდა აანაზღაუროს მაინც, თუკი ლექსმა „პოეზიის შვილის“ სახელი უნდა შეინარჩუნოს (ი. ჭავჭავაძე).

მაინც გვგონია, რომ პოეზიამ ის იდუმალეობა არ დაკარგა, რაც კანონიკური ლექსის მეტრისა და რითმის გარეშეც, მკითხველს მხატვრული აზროვნების თავისებურების ამოცნობის, მხატვრული სახეების გამოცნობის სურვილს უტოვებს: ეს კავშირი მელექსეს, ხალხურ „მათქვამსა“ („მეენე“ – ბ. ხარანაული) და ისტორიულსა თუ თანამედროვე მკითხველს შორის, საბედნიეროდ, დაურღვეველია; ზარის ენასავით, პოეტის ენაც, ხმიანობს და მსმენელს უხმობს! ამ თანაარსებობას დღემდე განსაზღვრავს მეტაფორები, რომლებიც ი. ჰოიზინგას აზრით, უხსოვარ დროში თამაშის, გამოცნობის სიხარულის აღმაფრენას განაცდევინებდა ლექსის მსმენელს: „პოეტი ისაა, ვისაც შეუძლია პირობით ენაზე საუბარი. პოეტური ენა იმით განსხვავდება ჩვეულებრივისაგან, რომ შეგნებულად იყენებს განსაკუთრებულ, არც თუ ყველასათვის გასაგებ სახეებს, რასაც პოეზიის ენა სახეების მეშვეობით სჩადის, თამაშია. ასე რომ, ყოველი სახე სხვა არაფერია, თუ არა გამოცანაზე პასუხი თამაშის გზით“ (ჰოიზინგა 2004: 174).

ცნობილია, რომ ქართული დამწერლობის უძველესი სახეობა – ასომთავრული – მთვარის კალენდართან არის დაკავშირებული; ეროვნული

ანბანის პირველი ასო-ბგერა – ანი – მთვარის, უფრო სწორად, ნახევარ-მთვარის, გამოსახულების აღმნიშვნელი, მისი სიმბოლოა.

ერთი უძველესი ქართული ხალხური, მითოლოგიური ლექსი, მთვარეს წერასთან აკავშირებს:

ნათელმა მთვარემა ბრძანა:	3/3/2
ბევრით მე ვჯობივარ მზესა,	2/4/2
ადგა, დანერა წიგნები –	5/3
ზენა ქარი მიართმევსა!	4/4

ბატონი აკაკი ხინთიბიძის დაკვირვებით, ამ კატრენში თავს იჩენს ლექსწყობის არქაული სტრუქტურა, როდესაც ტაეპები ჯერ კიდევ მუხლებად არ იყოფოდა: ტაეპი აღიქმება, როგორც ერთიანი მთლიანი მეტრული სიდიდე, მის დანაწევრებას ჰანგი ახდენს. ამ სტროფში რვა-მარცვლედის ოთხივე ფორმა (5/3, 4/4, 3/3/2, 2/4/2) არის წარმოდგენილი (ხინთიბიძე 2000: 50). ქართული პოეზიის დასაბამი მეტაფორით ნათქვამი, „გადმოენებული“, „გამოთარგმანებული“ ნაწერით შემოენახა შთამომავლობას. „წიგნები“ კი მთვარემ დანერა, ანუ მთვარე, „ღამის თვალი“ (ჯ. ქარჩხაძე) უხსოვარი დროიდან შემოქმედებით პროცესს ღამის წყვილადში, მთვარის ნათელში თამაშს დაუკავშირდა: პოეტი, ლექსის მწერალი, მთვარეს გაუთანაბრდა, რომელიც სხვებს აცნობს თავის შინაურ ცხოვრებას, შინაარსს; გავიხსენოთ ნესტან-დარეჯანი, რომლის მეტაფორა მთვარეა, ზის ქაჯეთის ციხეში და იქიდან წერს წიგნს ტარიელს (მზეს).

საინტერესო ფაქტია, რომ გალაკტიონ ტაბიძის დებიუტი, მისი ერთ-ერთი პირველი დაბეჭდილი ლექსი პრესაში (გაზ. „ამირანი“, 1908, №169, 28 სექტემბერი) არის „***მთვარე კაშკაშებს“:

მთვარე კაშკაშებს... ცა მოქარგული
მოციმციმეთა ვარსკვლავთა გუნდით,
მშვიდად დაჰყურებს ძირს დედამიწას
გარსშემოხვეულს სქელი ბინდ-ბუნდით.
(ტაბიძე 2016: 295)

1914 წელს ლექსების I ტომში (გვ. 116) გალაკტიონს შეტანილი აქვს ლექსი „მთვარე მთის ხრიოკს ამოეფარა“, რომლის მთვარე ილია ჭავჭავაძის რეალისტური მთვარის ალუზიასაც აღძრავს და ედგარ პოს ლექსთან შესაძლო კავშირზეც მიგვანიშნებს (ტაბიძე 2016: 358):

მთვარე მთის ხრიოკს ამოეფარა,
სიცხე მინელდა, მტვერს მიეძინა,
მეურმე მღერის და მოგონებით
აჩრდილს სურს მისცეს ტრფობათა ბინა.

.....
მე ვდგევარ, როგორც ტყვე უცხოეთში
როგორც სიზმარში უცხო სიზმარი.

(ტაბიძე 2016: 180)

რეალისტური და სიმბოლისტური („...სიზმარში უცხო სიზმარი“) მსოფლგანცდის შერწყმა ამ ერთი ლექსის შინაარსში ავტორის ახალ მხატვრულ სააზროვნო სისტემას უმორჩილებს უძველესსა და უკვე შაბლონად ქცეულ მეტაფორებს: „მთვარეს“, „აჩრდილს“, „სიზმარს“. „უცხო სიზმარი“ უნდა გაცხადდეს 1916 წელს დაწერილ ლექსში „სიკვდილი მთვარისგან“. იგი 1916 წელს უნდა იყოს დაწერილი. დაიბეჭდა 1919 წელს (გაზ. „სახალხო საქმე“, №12, 9 აგვისტო), შეტანილია „არტისტულ ყვავილებში“ (XXVII):

წაკითხულ წიგნთა საღამოსის მსუბუქი ბინდი
არეებს მშვიდად, უდარდელად კვლავ ეფარება,
მდინარეთ ლურჯი, ქაფიანი და მძიმე ზვირთი
შავი ზღვისა და კასპიისკენ მიეჩქარება.

(ტაბიძე 2016: 89)

ტრადიციული, რომანტიკული აღქმა მწუხარე საღამოს დამსხვრეული ხომალდებისა ორ ზღვას შორის მოქცეული საქართველოს ცის ქვეშ კვდება და იბადება სრულიად ახალი ღამე – „ყვავილივით გახსნილი მთვარის“ შუქით განათებული:

მაგრამ უეცრად ყვავილივით გაიხსნა მთვარე:
საამო, ნაზი, უხავერდო და უვნებელი,
ჯერ დააგუბა თეთრ ღრუბლებში იების ღვარი
და გადაღვარა ვით სირიის ნელსაცხებელი.

(ტაბიძე 2016: 89)

ამ კატრენის ტროპულ მეტყველებას, ძირითადად, ორი შედარება და ეპითეტები განსაზღვრავს; თუმცა აქ მთავარი მთვარის მეტაფორა და „იების ღვარია“ – მთვარის მიერ ღრუბლებში დაგროვილი ჯადოსნური სურნელი – სულიწმინდის ძალაა, მან კი უნდა გააერთიანოს პოეტი და მკითხველი.

„მეტაფორის თეორიების ერთ-ერთი საკვანძო და საკამათო საკითხია „მსგავსების“, „იგივეობის“, „ანალოგიის“ ცნებების ფუნქციების გარკვევა, მათი გამიჯვნა. არისტოტელიდან მოკიდებული რიკიორამდე მეცნიერები კამათობენ ზემოთ ჩამოთვლილი ცნებებიდან რომელი (ან იქნებ სამივე) „მონანილეობს“ მეტაფორის წარმოშობაში“, – აღნიშნავს რუსუდან ცანავა ნიგნში „მეტაფორა“ (ცანავა 2009: 77). პოლ რიკიორი ერთ-ერთ სტატიაში განიხილავს მეტაფორის სემანტიკური თეორიის მიმართებას ფსიქოლოგიურ ასპექტებთან: მეტაფორა გამოცანა კი არ არის, არამედ გამოცანის ამოხსნა. რიკიორის მტკიცებით, წარმოსახვის ერთ-ერთი ფუნქცია არის ის, რომ შეყოვნებას – რომელიც ახასიათებს დახლეჩილ რეფერენციას – მიანიჭოს კონკრეტული განზომილება.

შეიძლება ითქვას, რომ წარმოსახვის პროცესი აუცილებლად ითხოვს შეყოვნებას. პ. რიკიორი იმონმებს სარტრის ნათქვამს: „წარმოიდგინო, ნიშნავს მიემისამართო რამეს (იმას), რაც არ არის“. რიკიორის აზრით, შეყოვნებასა და ახალი შესაძლებლობების დაგეგმვას შორის ბევრია საერთო. „სახე, როგორც „არმყოფი“, არის უარყოფითი ასპექტი სახისა, როგორც გამონაგონისა. სახის სწორედ ამ ასპექტთან არის დაკავშირებული სიმბოლური სისტემების უნარი „ხელახლა შექმნას, ააგოს“ რეალობა.

„პოეტი არის ის გენიოსი, რომელიც ქმნის დახლეჩილ რეფერენციებს გამონაგონის შექმნის საშუალებით. სწორედ გამონაგონშია „არყოფნა“, რომელიც დამახასიათებელია იმის შესაყოვნებლად, რასაც ყოველდღიურ ენაში „ყოფნას“ (რეალობას) ვუნოდებთ (ცანავა 2009: 87).

„მთვარე – ყვავილი“, გალაკტიონის „მთანმინდის მთვარის“ ზამბახის „შუქთა მკრთალი მძივის“ მსგავსად, ქრისტეს სიმბოლოდაც არის (ქრისტე – ყვავილი) მოაზრებული და ღვთისმშობლის, სულიწმინდის ძალით ამეტყველებული ლექსისაც. მეტაფორების ამოხსნის გზა ამ ლექსში („სიკვდილი მთვარისგან“) სიმბოლისტი პოეტის მიერ ლექსის წერის საიდუმლო პროცესთან ზიარების ცდაა: როგორც „მთანმინდის მთვარეში“, ისევე ამ ლექსშიც, გ. ტაბიძე რეალობის „ყოფნის“ სიკვდილის ფონზე „არყოფნისაკენ“ – იდუმალი, წარმოსახვითი სამყაროსაკენ – „მიგვასამართებს“, მიგვიძღვება წაკითხული ნიგნების ალუზიებით და მსუბუქი ბინდის, „მწუხარებათა ფიქრის“ თანხლებით.

წარმოსახვა და შეგრძნება, როგორც აღნიშნავენ, მეტაფორის კლასიკურ თეორიებში ყოველთვის მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებული. რიტორიკა განიმარტებოდა, როგორც მეტყველების სტრატეგია, რომლის მიზანია დარწმუნება. კანტის ესთეტიკაში ცენტრალური როლს თამაშობს სიამოვნება. შეგრძნება, ისევე როგორც წარმოსახვა, პროცესის არსებითად ჭეშმარიტი კომპონენტია. ეს მეტაფორის თეორიაში

აღწერილია, როგორც ურთიერთზემოქმედება. ორივე მათგანი აისახება მეტაფორის სემანტიკურ ასპექტზე.

პოეტური სახისა და პოეტური შეგრძნების ცნებები, პ. რიკიორის აზრით, უნდა აიხსნას კოგნიტური თეორიის შესაბამისად, როგორც დასახული კავშირი შეთანხმებასა და შეუთანხმებლობას შორის აზრის დონეზე; შეყოვნებასა და აუცილებლობას შორის – რეფერენციის დონეზე (ცანავა 2009: 80).

ვფიქრობთ, რომ გალაკტიონის ამ ორივე ლექსს: „მთანმინდის მთვარესა“ და „სიკვდილი მთვარისგან“ ნიკოლოზ ბარათაშვილის „შემოღამება მთანმინდაზედ“ ამდიდრებს ალუზიებით. ზამბახისფერი მთვარე ლურჯი მდინარეების ფონზე ვიზუალურად აღქმული და ლოცვით დაღლილი უმანკო სულის (მთვარის) შეგრძნება სურნელის (სალამოს ბინდის, ყვავილიანი ველის) მეშვეობით (გავიხსენოთ ქაჯეთში მყოფი ნესტანდარეჯანი, მიჯნურთან წერილის წერა რომ დაამთავრა, რიდეს ერთი წვერი მოჰკვეთა: „თავ-მოხდილსა დაუშვენა სისხო, სიგრძე, თმათა ფერი, / აღვისაგან სული მოჰქრის, ყორნის ფრთათათ მონაბერი“). ნესტანი მთვარეც არის და პოეტიც, რომლის სული წერის დროს სულიწმინდით არის მოცული, ხოლო ქალის შავი თმა, როგორც ყორანი, წარმავალი ცხოვრების მუდმივი ხსოვნის ალეგორია, კვებავს წერილის პათოსს: სიკვდილ-სიცოცხლის ზღვარზე მდგომი პოეტი-ქალი იწყებს თავისი აღსარების წერას. აქვე გავიხსენებთ ნესტანის მუდმივ სამოსს – მწვანე კაბას; „მწვანე, ტრადიციულად, იმედის, რწმენის სიმბოლოა. აქ ნესტანის მუდმივად განახლებადი იმედი და რწმენა სიყვარულისა“ (ბარბაქაძე 1993: 85).

„ლოცვით დაღლილი უმანკო სული“ და „აღვისაგან სული მოჰქრის“ – მთვარისაგან მომავალ ნელსურნელებას – უძველეს ქრისტიან მამათა, ღვთისმშობლის სამშობლოს, სირიას, მიემართება. მარიამი და სულიწმინდა, სიზმარი და სიტყვა, ერთმანეთს უკავშირდება და ახალი მთვარის შუქზე ლექსი იბადება:

მაგრამ უეცრად ყვავილივით გაიხსნა მთვარე:
საამო, ნაზი, უხავერდო და უვნებელი,
ჯერ დააგუბა თეთრ ღრუბლებში იების ღვარი
და გადაღვარა ვით სირიის ნელსაცხებელი.

ალიტერირებული სიტყვები – კონსონანსური რითმის ცალები, სახელი და ზმნა: „ღვარი“ და „გადაღვარა“ უძველეს მითს აცოცხლებს: დედის (ღვთისმშობლის) ცრემლზე ამოსული ყვავილია ია, რომელსაც მთვარე თეთრ ღრუბლებში უფროვებს ჯადოსნურ ცვარს (ცრემლებს): ამ „მისტიკურ, იდუმალ ლექსს“ (ვახტანგ ჯავახიანი) ირაკლი კენჭოშვილი პარნასიზმს, თეოფილ გოტიეს უკავშირებს: „ავტორი მთლიანად გასულია

ტექსტიდან, მისი ხმა არსად არ ისმის. ეს არაა არც რომანტიკული და არც იმპრესიონისტული ფერწერა; ცხადია, ეს არც „აღსარებაა“.

„სიკვდილი მთვარისაგან“, თითქოს პარნასული, გოტიესებური ლექსია, მაგრამ „მასში ირღვევა მასალის რაციონალურად მონესრიგების პრინციპი. ეს პოეტიკა უფრო ახლოსაა არა XIX, არამედ XX ს. დასაწყისის ლიტერატურისა და სახვითი ხელოვნების პრინციპებთან“ (კენჭოშვილი 1999: 167).

გალაკტიონის სათქმელი ლექსში „სიკვდილი მთვარისაგან“ სიზმარ-ცხადის შერწყმის, ბუნდოვანების, მწუხრის შერეული ფერების, ბინდბუნდის სტატიკით, უძრაობით, მყუდროებითა და მუდმივობით იწყება (I კატრენის I-II ტაეპები) და მდინარეთა ლურჯი ზვირთების დინამიკით, ორი ზღვისაკენ – შავი და კასპიის – მიეშურება (ამავე კატრენის III-IV ტაეპები):

მდინარეთ ლურჯი, ქაფიანი და მძიმე ზვირთი
შავი ზღვისა და კასპიისკენ მიეჩქარება.

I კატრენის ფინალური ორტაეპედით არის დასრულებული მთელი ლექსიც, რომლის უკანასკნელი, IV კატრენის I-II ტაეპები, I კატრენის ბუნდოვანების ნაცვლად, იცვლება: „ნითელი, თეთრი და ყვითელი ფერების ტვირთით“, რომელთა წარმომშობია: „ერატოს მარად გაფითრება და მღუმარება“.

ვფიქრობ, „მდინარეთ ლურჯი ზვირთი“... ამ უცნაური, „იდუმალი“ ლექსისა (ვახტანგ ჯავახიძე, „უცნობში“ აღნიშნავს, რომ გალაკტიონი „დაინტერესებულ ცნობისმოყვარეს გაუბრაზდა: „მე თვითონ არ ვიცი და შენ როგორ აგისხნა?“ (ტაბიძე 2016: 226) უნდა იყოს გაცოცხლებული ბესიკ ხარანაულის ლირიკულ შედეგში „თებერვალი, ივრის ჭალები“:

მიშველე რამე,
ნაქცეული ვარ
და მთვარის შუქი
მაბიჯებს გულზე...
ანათებს მთვარე
საქართველოს ლურჯ მდინარეებს.
(ხარანაული 1984: 8)

„ლურჯი მდინარეები“ ციდან გადმოღვრილი „იისფერი ღვარით“ უნდა იყოს შეფერილი: ს იმბოლურად, ეს მეტაფორა ცისა და მიწის კავშირს, კერძოდ, საქართველოსთვის ზეციური, ღვთისმშობლის ცრემლებით სავსე მდინარეების, მეტაფორული ფერწერით შექმნილი სახეა.

წითელი, თეთრი და ყვითელი ფერები, რუსუდან ბარბაქაძის აზრით, „ვეფხისტყაოსნის“ ფერთა ორი სამეულიდან მეორეა: „საუკეთესო სიმბოლური მნიშვნელობების (სოციალური, ყოფითი სდიმბოლიკა) მარეალიზებული თეთრი, წითელი და ყვითელი ფერები (ბარბაქაძე 1993: 177).

გალაკტიონ ტაბიძის მთვარე – ყვავილივით გახსნილი – ყველაზე ხშირად ზამბახისფერია, ლურჯია

...აღმოხდა მთვარე! გაანათა უსივრცო ბალი
მაღალ ღეროზე გაიშალა გრძელი ზამბახი,
მაგრამ მის გაშლას სიხარულით არ ვეგებები:
ზამბახთა შორის ყრია თეთრი ქანდაკებები
თეთრი ძეგლები და იმათ ქვეშ ობლად მარხია
გული, უგონო სიყვარულმა რომ შეარყია...
(ტაბიძე 2016: 79)

გალაკტიონის ამ ცნობილი სონეტის – „გულის“ – ციტირებულმა ტერცეტებმა „ერატოს მარად გაფითრება“ („სიკვდილი მთვარისაგან“) – სიყვარულისაგან გონწასული და ძლივს მოსულიერებული ტარიელი შეიძლება გაგვახსენოს, ავთანდილმა რომ ლომის სისხლი დაასხა (წითელი – თეთრი – ყვითელი – ლურჯი ფერები ერთმანეთს ენაცვლება გონსანული და ახალმოსულიერებული ტარიელის სახეზე):

ავთანდილ მკერდსა დაასხა მას ლომსა სისხლი ლომისა,
ტარიელ შედრკა, შეინძრა რაზმი ინდოთა ტომისა
თვალნი აღახვნა, მიეცა ძალი ზე-წამოჯდომისა
ლურჯად ჩანს შუქი მთვარისა, მზისაგან შუქ-წამკრთალისა.

ტარიელის გაფითრებული სახე მზისაგან ძლეული, ფერწასული, მთვარის ლურჯ შუქს შეადარა პოეტმა. მთვარის **ლურჯი** შუქი და ლომის სისხლი (**წითელი**) გალაკტიონის ზემოხსენებულ ლექსებშიც დომინირებს.

„არტისტულ ყვავილებში“, „გულის“ გარდა, კიდევ ერთი სონეტია: „გობელენი“ (XXXV), რომელშიც მთვარის შუქზე იქსოვება სიყვარულის, ღამისა და სულამითის მოლოდინით აღსავსე ზღაპარი:

ტბის პირად, როცა ხეების ხელებს
დაეკიდება მთვარე და ცვარი,
დამთვრალი ბალი გაშლის გობელენს...
(ტაბიძე 2016: 99)

„ხეების ხელები“ ცისკენ აპყრობილი მიწის მეტაფორაა, ხოლო „დამთვრალი ბალი“ (ციური სასმელით) ჭრელ გობელენს – მიწის, ქვეყ-

ნის, მრავალფეროვნებას განასახიერებს: ღვთისგან შექმნილი უთვალავი ფერის სამყარო დახვდება ღამის ზეცას: შავი ღამე და ყვითელი მთვარე ულამაზეს სანახაობას (გობელენს) სთავაზობს რეციპიენტს.

მთვარის ლურჯი შუქით შეფერილი მდინარეების სწრაფვა ზღვებისაკენ ინდივიდისა და მარადიულობის, ეროვნულისა და ზოგადსაკაცობრიოს, ქართული კულტურის მსოფლიოსთან ზიარების, შერწყმის მუდმივი, დაუსრულებელი განვითარებაა: სიკვდილი მთვარისაგან – სიყვარულისაგან ხელახლა, ახალშობის, აღორძინების – მარადიულთან ზიარების სურათად წარმოგვიდგება გალაკტიონის ამ იდემალ ლექსში: იგი, ერთდროულად, ტარიელიც (star – მზე, ვარსკვლავი) არის და ნესტანდარეჯანიც (მთვარე და პოეტი), რომლის წერილმა და „რიდის წვერმა“ სიკვდილის პირას მიიყვანა ინდოთა ამირბარი. მთვარე ერთმანეთს უახლოებს: სიყვარულს (ზოგადს) და მიჯნურებს (კონკრეტულს), ლექსებსა (ამა თუ იმ პოეტის შედეგებს) და მდინარეებს, ზღვებს (მსოფლიო პოეზიის), რომელთაც ამ მიჯნურობის ამბავი (აქ: „ვეფხისტყაოსანი“) შავი და კასპიის ზღვებით მსოფლიოში მიაქვთ.

რაც შეეხება ამ ლექსის („სიკვდილი მთვარისაგან“) პოეტიკას, მიმაჩნია, რომ იგი ესთეტიზმის პრინციპებით უფრო უნდა აიხსნას: „ესთეტიკაში არის თანხვედრა რეფლექსირებული შთაგონებისა და შთაგონებაში წარმოსახვისა (ანუ ფიქციურობისა): მთვარეული შემეცნება ფორმირდება ან მოგონებად, რომელიც ქმნის იმას, რაც უკვე აღარ არსებობს, ან მოლოდინს, რომელიც არასოდეს აცხადდება. არცერთ შემთხვევაში არ გვხვდება უშუალო Hic et nunc-ს განცდა. ეს განცდა სოლარული ყოფიერების პრეროგატივაა, შექმნილი სახეთა საგანძურის სისავსით, რომელიც მოგონებაში ინახება – მთვარეული ესთეტიზმის „მკაფიოობა“, ანუ მისი ბასრი გაურკვევლობა, თავისთავად წარმოადგენს პირდაპირ წინააღმდეგობრიობას დიდებული ბრწყინვალეებისა („დიდებული და გამარჯვებული მზე“) (Ханзен-Лёве 1999: 105).

ყვითელი და შავი ფერების ერთობლიობა მიჩნეულია ერთ-ერთ ყველაზე უფრო ხილვად კომბინაციად. გ. ცოიგნერის მიერ შედგენილ ცხრილში იგი პირველ ადგილზეა მოთავსებული.

თამაშის კონცეფციის განხილვისას, ვ. ბრიუსოვი მიუთითებს იმ გარემოებებზე, რომლებიც აღნიშნა შილერმა და ფილოსოფიურად დაამუშავა სპენსერმა: ხელოვნებისა და თამაშის გაიგივება ემყარება ინტრანზიტულობასა და კონკრეტული მიზნისაგან განთავისუფლებას. ვ. ბრიუსოვი ამ იგივეობრიობას ძალიან მნიშვნელოვნად მიიჩნევს; „თუკი ყველანაირი ხელოვნება – თამაშია, მაშინ რატომ არ არის ყველანაირი თამაში ხელოვნება?“ (Брюсов 1975: 6. 90). ფრანგული სიმბოლიზმის მკვლევარი ხენზინგ-ლევე მართებულად მიიჩნევს, რომ ესთეტიზმის ნა-

წარმოებს აქვს პირადული, ან საგნობრივი ხასიათი, რომელიც წინააღმდეგობრივია მთელი არამხატვრული (მიწიერი, ემპირიული) სამყაროს მიმართ. პანესთეტიზმში კი, პირიქით, ცხოვრების ტექსტის სტრუქტურები წარმოადგენენ თემატურ მასალასა და „ხერხებს“ მხატვრული ტექსტებისათვის: მხატვარს სიცოცხლე იმიტომ აქვს ბოძებული, რომ გარდაისახოს ხელოვნებაში და, პირიქით, ხელოვნება იმისთვის არის საჭირო, რომ ცხოვრებად იქცეს. ამასთანავე, ჭეშმარიტ ცხოვრებად ითვლება მხოლოდ შემოქმედთა, პოეტთა ცხოვრება. თვითგამოხატვის კულტი და „ცხოვრების თეატრალიზება“. „არტისტული ყვავილების“ ავტორისათვის რეალობა „ნაკითხულ წიგნთა“ „არეებსა“ და „საქართველოს მდინარეების ლურჯ ზვირთებთან“ თამაშით დამკვიდრების სურვილი და შესაძლებლობაა: ნაკითხულ წიგნთა გმირები – „ვეფხისტყაოსნის“ მთვარე – ნესტანი და მისი მიჯნური – ახალი პოეტური ცნობიერების ფერებით მკვიდრდებიან სიმბოლოებად ქცეული მეტაფორებით.

შარლ ბოდლერი, გალაკტიონ ტაბიძის „არტისტული ყვავილების“ ერთ-ერთი ინსპირატორი, „ბოროტების ყვავილების“ ავტორი, თავის ცნობილ კრებულში „ლექსები პროზად“ მთვარესა და მთვარეულების ურთიერთობას უძღვნის მინიატურას: „მთვარის ქველმოქმედებანი“; შ. ბოდლერის მთვარე თავის პოეტებს ასე მიმართავს: „...ჩემებრ მშვენიერი იქნები შენ, შეიყვარებ ყოველივე იმას, რაც მე მიყვარს, და რასაც ვუყვარვარ მე: წყალს, ღრუბლებს, სიჩუმეს, ღამეს; ზღვას – მწვანეს და უკიდევანოს; წყალს – უსახოს და ფერადმრავალს ქვეყანას, რომელსაც ვერსადროს იხილავ, მიჯნურს, რომელსაც ვერასოდროს გაიცნობ, ჯოჯოხეთურ ყვავილებს, ბოდვის აღმგზნებ არომატებს...“ „...ამადაც ვწევარ მე შენს ფერხითთ, ჩემო საყვარელო, გათვალულო პატარავ, და ვეძებ მთელ შენს არსებაში იმ ვერავი ღვთაების არილს, ამ გრძნეული ნათლიდედის, ამ მომწამვლედი დედამძუძისას, რომელიც შხამავს ყველა მთვარეულს“ (ბოდლერი 1991: 126-127).

გალაკტიონის „სირიის ნელსაცხებელი“ ზოგჯერ „ნაკითხულ წიგნთა“ მხატვრული სახეების რესიმბოლიზაციით, რემინისცენციებით შეიძლება აიხსნას:

მთვარე – შეყვარებულთ მესაიდუმლე, მიჯნურთა თანამზრახველი მსოფლიო პოეზიის მეტაფორაა: მარადიული სიმწვანით, სიახლით მოცული და მთვარეულთა მწვანე თვალეზივით ღამაზი და იღუმალი; მსოფლიო პოეზიისათვის საერთო, თანაზიარი ხატია მთვარეულის მწვანე თვალეზი და ღამის მნათობის მფარველობა თავისი რჩეულების მიმართ: ღვთისმშობლის სამშობლის ხატი, სახარებისეულ აღუზიათა კავშირი მშობლიური მდინარეების ხმასა და მთვარის შუქთან ასოცირდება.

მწვანე მომნატრდები, მწვანე,
საგნების ავლია მზერა
ბოშური მთვარისქვეშ მდგარი
ხედავს და ვერ ხედავს ვერას
მთვარეს არ ეჭიროს მალლა,
ფსკერზე ჩაიტანდა წყალი,
იდგა მოალერსე ღამე,
ღამის შუკასავით წყნარი. –
(ლორკა 2020: 18, 22)

– ვკითხულობთ ფედერიკო გარსია ლორკას „სომნამბულურ რომანსში“, რომელიც დავით წერედიანმა თარგმნა ქართულად. „ბოშური რომანსერო“ სომნამბულურ პოეზიას მიჯნურ-მთვარესთან, მსოფლიო და ქართული პოეზიის უკვდავ მეტაფორასთან (გრიგოლ რჩეულიშვილი: „ახ, მთვარევ, მთვარევ, დამწვართ იმედო!“) მთვარე – მიჯნურთა მფარველი, აკავშირებს. დავით წერედიანი აღნიშნავს, რომ ფედერიკო გარსია ლორკას პოეტური ბიოგრაფია ავანგარდიზმისაკენ განუწყვეტელი სწრაფვაა: „...უცნაური საქმეა. ისევ და ისევ მელოდიური ლექსითა და ძველებური მასალით – ჩიტებითა და ყვავილებით, ქარებითა და ვარსკვლავებით, გიტარებითა და ტორეროებით ღამობდა ახალი მეტაფორისტიკისა და, შესაბამისად, ახალი პოეზიის შექმნას... მოხდა უიშვიათესი რამ, როცა ავანგარდიზმი და მალალი კლასიკა ჰარმონიულად შეერწყა ერთმანეთს და ხმაშენყობით აჟღერდა“ (ლორკა 2020: 6). ბოდლერისეული მწვანე შეერწყა ლორკას ესპანურ სატრფიალო ლირიკას „სომნამბულურ რომანსეროში“, რომელიც სახე-სიმბოლოების; „მინიშნებათა პოეტიკის“ მეშვეობით, ახსნასაც გულისხმობს და ტრადიციულ, კლასიკურ, მიჯნურთა მთვარესაც ეხმიანება. რეალისტური წარმოდგენით ნასაზრდოები მთვარე – მიჯნური, ღამის დარაჯი, მიჯნურთა მფარველი, „ფოთლებიდან დანახული“ (ტერენტი გრანელი) – მინიდან ზემოთ, მალაა, ცისაკენ თვალაპყრობილი პოეტისათვის „ოდნავ მოსჩანს ფოთლებიდან მთვარე“ („მთვარე ფოთლებიდან“. გრანელი 1979: 257). საინტერესოა, რომ ტერენტი გრანელი ე.წ. „ლექსში პროზად“ („ბარათი“) მაისს „ფოთლების თვეს“ უწოდებს. „...მაისია, მიმაქვს ცრემლი, ფოთლებით სავსეა ბალი. პირველი მაისია, ფოთლების თვე“ (გრანელი 1979: 246). ტერენტი გრანელის „ფოთლებიდან დანახული“ „მაისის მთვარე“ ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსს „შემოღამება მთანმინდაზედ“ გაგვახსენებს და სულთმოფენობის დღესასწაულის მყუდრო საღამოს ფიქრებს გვაზიარებს. „მინის ცქერით დაიღალა მთვარე“ – ამ ცნობილ ტაეპშიც ის კოსმიური წესრიგი და სიმშვიდე იგრძნობა, რაც მხოლოდ ზეცაშია და არა – მიწაზე: უბრალო-

ება და მარადიულობა მიწაზე მხოლოდ ჩიტის ხიდან ხეზე გადაფრენას – პირველქმნილ, „შესაქმის“ ჭეშმარიტების აღიარებას – მოაქვს.

„მთვარეული“, სულხან-საბა ორბელიანის „სიტყვის კონის“ // „ლექსიკონი ქართულის“ განმარტებით, არის „მთვარეზედ დაბნედა ეშმაკეულთა“ და მას, მათეს სახარების (4,24) მიხედვით „ცისად – ცისადი“ ჰქვია. დავით გურამიშვილი „მთვარეულს“ ეშმაკიერს, „ცისცისადს“, ცისად – ცისად გვემულს, მთვარის ავადმყოფს, უწოდებს თავის ცნობილ ლექსში „მოთქმა ხმითა თავ-ბოლო ერთი“:

ვაჲ, რა კარგი საჩინო, რა ავად მიგიჩნიესო!
არ ვიცი, რად ქმნეს უგბილთა, ავი რა შეგამჩნიესო?
მკვდარს აღუდგენდი, კურნავდი კეთროანს, წყალმანკიერსო;
ბრმას თვალთ უხელდი, **ცისცისად** არჩენდი ეშმაკიერსო!
(გურამიშვილი 1975: 4. 69)

სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით, სულ შვიდი „ცთომილია“, რომელთაგან მთვარე ცნობილია „ყამარის“, „ლუნას“ სახელით. აქვე ავტორი დანვრილებით გვაცნობს მთვარის მოძრაობას მზესთან მიმართებით და აღნიშნავს: „...მთვარესა არა აქვს თავით თვისით ნათელი, არამედ ვითარცა სარკე არს ქმნულებაჲ მისი და რაოდენსა ხედავს მზე, ეგეოდენსა აქვს ნათელი (სინათლე)“ (ორბელიანი 1993: 336).

სიმბოლისტიკა, საზოგადოდ, აღიარეს პოეტ-დემიურგის დემონური პოზიცია, რომელიც, ერთგვარად, უპირისპირდება ღმერთ-შემოქმედის აბსოლუტურ ზეობას. ამ წარმოსახვით სიღრმეში სიმბოლისტი პოეტ-დემიურგი თავს ყველაზე მაღლა, საკუთარი შინაგანი სამყაროს (ოცნების სფეროს) მბრძანებლად მიიჩნევს. „თანატოსი“ და „ეროსი“ თავისებურად გადაიკვეთება პოეტ-მთვარეულის არსის გახსნისას.

„ცისფერყანწელთაგან“ მთვარეულების, „სომნამბულების“ მხატვრული სამყაროს არტიფაქტი პირველმა ვალერიან გაფრინდაშვილმა შემოგვთავაზა ლექსში „სომნამბულა“ და თავისი ლექსების კრებულსაც, შესაბამისად, „დაისები“ უწოდა; სალამოს თოვლი, ქუჩის ფარნის ელექტრონით განათებული ფიფქების ნაკადი, თოვა, პირბადეს შეადარა და ორი სამყარო გამიჯნა ერთმანეთისაგან: ნატურალური, ვიტალური და პოეტ-დემიურგის მიერ შექმნილი ახალი, წიგნების გმირებით, პოეტისათვის იდეალური პერსონაჟებით, ზოგჯერ დემონური სახეებით დასახლებული:

სალამოს თოვლი – პირბადეა ამარსიფალი –
სცვივა და ფარჩავს შებინდებულ ჰაერს ლანდებით.
გამოგინოდებთ დაისიდან ხელს პარსიფალი
და ფრთამარადი სხვა უფსკრულში გადაბრძანდებით.
(გაფრინდაშვილი 1990: 75)

ვახტანგ კოტეტიშვილი „1922 წლის მწერლობის მიმოხილვაში“ საგანგებოდ აღნიშნავს ვალერიან გაფრინდაშვილის სომნამბულიზმს: „ყანწელეებში“ იგი ყველაზე დიდი ფანტაზიის პოეტია. ის საიდუმლოებით უცქერის მოვლენებს და არჩევს თავისებურად... იგი არ ჰვალაატობს თავის მიერ შექმნილ ქიმერებს და იმდენად შეუთვისდა საკუთარ ფანტასტიკას, რომ სომნამბულივით დადის ქართულ მწერლობაში...“ (კოტეტიშვილი 2016: 214).

ვალერიან გაფრინდაშვილი და მისი „დაისები“ გადაიქცა საბჭოთა რეჟიმის მიერ დევნილი პოეტის, ივანე ბაბუაძის, ფსევდონიმისა და პოეტური ინსპირაციის წყაროდ. მან დააარსა ლიტერატურული ორდენი „სომნამბულები“ და ვანლერ დაისელის სახელით გამოაქვეყნა ლექსების კრებულები: „მზის სისხლი“ (1926), „გული და დღეები“ (1927), „გუშინ და ხვალ“ (1928); ცალკე წიგნად გამოვიდა მისი მოთხრობა „ლივილა“. ვანლერ დაისელის კვალი 1932 წელს, არხანგელსკში, ქრება. სავარაუდოდ, ის 1932 წელს შეენირა რეჟიმს, იმსხვერპლა პოლიტიკურმა რეპრესიებმა.

2018 წელს ხელახლა გამოიცა ვანლერ დაისელის წიგნი „მზის სისხლი“.

რეპრესირებული და მივიწყებული პოეტის, „სომნამბულების“ ლიტერატურული ჯგუფის (დაფუძნდა 1925 წ. 27 იანვარს, წევრები: შანგო პოლიუსი, კლიმენტი თევზაძე, დავით ფერაძე) ხელმძღვანელის, ვანლერ დაისელის (ივანე ბაბუაძის) შემოქმედების თაობაზე ლალი ავალიანის საინტერესო წერილი გამოქვეყნდა (ავალიანი 2020). მთვარე, როგორც მეტაფორა, ვანლერ დაისელის ლექსებში, ძირითადად, როგორც ვთქვით, ვალერიან გაფრინდაშვილის „დაისებით“, გალაკტიონის პოეზიით, „ცისფერყანწელთა“ და ტერენტი გრანელის შემოქმედებით არის ნასაზრდოები.

ავანგარდისტული პოეზიის წარმომადგენლებმა, ქართველმა ფუტურისტებმა ჟურნალში „ლიტერატურა და სხვა“ (1924-25, №1), მთვარეულების თემატიკა თავისებურად გაიაზრეს. მაგალითად, აქ დაიბეჭდა ნიკოლოზ ჩაჩავას „შელოცვა მთვარისეულებს“ ჟურნ. „ლიტერატურა და სხვა“, 1924-1925, №1):

ალთა

ბალთა.

ბარიბართუბართა

ჯაჭვი ჯაჭვნადური

ქალდინადური

დარი ნატყუბარი

ხრა ნაგუბარი.

სულადი უწმინდური

ხარდინადური.

(ჩაჩავა 2011, IV: 297)

ამ ლექს-ლოცვას მთვარისეულს („მთვარეულს“) უძღვნის პოეტ-ფუტურისტი. უფრო ადრე კი, 1918 წელს ქართულ პრესაში იბეჭდება დ. ცვარნამის (დავით მეზუკის) მიძღვნა „მთვარეულს“ (ყურნ. „აისი“, 1918, თებერვალი, №1):

ზოგჯერ ალისფრთა მომიქროლებს, შემომედება,
დამკოცნის, დამწვავს ძილმღვიძარა აღტაცებაში,
ათასთა შორის თვალი ისევ შენ მოგედება,
ათასთა შორის შენ ერთს გამჩნევ პირველ წყებაში...
(ცვარნამი 2011, I: 407)

„სომნამბულიზმსა“ და სომნამბულებზე//მთვარეულებზე საუბრისას, აუცილებელია, ვახსენოთ შალვა კარმელი და სანდრო ცირეკიძე.

შალვა კარმელის „ინფანტას მთვარეულს“ მთვარის ასულს, მიჯნურის იძღვნება:

თქვენ ხართ ინფანტა ესკურიალის
და მე აზიის ავი თავადი.
გაკრთობთ ხმაური ქვების კრიალის
და შორს ვერცხლივით ბრწყენს ირავადი.
(კარმელი 2000: 33)

სანდრო ცირეკიძის მინიატურა (ლირიკული პროზა) „მთვარეული“ კი გიჟისა და მთვარეულის იდენტიფიკაციას გვთავაზობს: „ქალაქის ბაღის ჭლექიანი ხეები ინაზებთან მთვარის ნათელში. ხან ავადმყოფური თამაშით შუქს ტოტით დაუფარავენ გიჟს, ნარვალში რომ კოლოფებს აგროვებს. ნახავს კოლოფს, გადაშლის და მთვარეს შეუშვერს. სავსეა სალარო სიზმართა დედოფლის და უხვად აბნევს ოქროს შუქს მტვრიან კოლოფში.

...ტაძრის გუმბათიც მოოქრულია, სიკვდილის წინ თავის სიმდიდრეს ანიაგებს მთვარე“... (ცირეკიძე 1992: 173). სანდრო ცირეკიძის მთვარეული, მთვარის გამონაშუქის შემგროვებელი, ხელცარიელი გიჟია, რომელიც ვეღარ პოულობს ღამით მოპოვებულ განძს – მთვარის სხივებს.

ცნობილია, რომ მარინეტი სიმბოლისტებს „მთვარის უკანასკნელ მიჯნურებს“ უწოდებდა; თუმცა XX-XXI სს. ქართული პოეზია სანინაალმდეგოს ამტკიცებს. მთვარე კვლავ არის უკვდავი მეტაფორა: პოეტისა, სამშობლოზე ფიქრით მისი რეალური და ირეალური პარადიგმებით შექმნილი სახე-იდეისა, მარადიული მიჯნურისა. მრავალთაგან მხოლოდ ორიოდ ნიმუშს დავიმონშებთ.

ოთარ ჭილაძე ლექსში „ფიქრს შეუძლია“ სწორედ მთვარესთან აკავშირებს შთაგონებას, ლექსის ქმნადობის პროცესს:

მე ჩემი წილი ყვითელი მთვარე
ჩამოვაფარე ფანჯრებს ფარდებად...
(ჭილაძე <https://poetry.ge>poets.poems>)

ელა გოჩიაშვილის „გიჟები და მთვარეულები“ აწყვილებს პოეტისა და მთვარეულის ცნებებს „შეპყრობილის“ მეტაფორასთან: წარმოსახვი-თი კავშირი ყოფნასა და არყოფნას შორის აღდგება სიტყვის მემშვეობით.

დამონშებანი:

- Avaliani, L. *Kartuli Avangardizmis Ist'oriidan. Vanler Daiseli. Alm. "Mts'ignobari"*, №40, 2020 (ავალიანი, ლ. *ქართული ავანგარდიზმის ისტორიიდან. ვანლერ დაისელი*. აღმ. „მნიგნობარი“, №40, 2020).
- Barbakadze, R. *Peris Mkhav'ruli Punksia "Vepkhist'aosanshi"*. Tbilisi: gamomtsemloba "merani", 1993 (ბარბაქაძე, რ. *ფერის მხატვრული ფუნქცია „ვეფხისტყაოსანში“*. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1993).
- Bryusov, V. Ya. *Sobranie Sochineniy. T. VI. Statii I Retsenzii 1893-1923*. M.: 1975 (Брюсов, В. Я. *Собрание сочинений. Т. VI. Статьи и рецензии 1893-1923*. М.: 1975).
- Bodleri, Sh. *Leksebi P'rozad*. Tbilisi: gamomtsemloba "Sakartvelo", 1991 (ბოდლერი, შ. *ლექსები პროზად*. თბილისი: გამომცემლობა „საქართველო“, 1991).
- Chachava. *"Lit'erat'ura da Skhva", 1924-1925, №1. 1910-1920-iani Ts'lebis Jurnalibi. I-IV Ts'ignebi*. Tbilisi: Giorgi Leonidzis Sakhelobis Kartuli Lit'erat'uris Muzeumi, 2011 (ჩაჩავა. „ლიტერატურა და სხვა“. 1924-1925. №1. 1910-1920-იანი წლების ჟურნალები. I-IV წიგნები. თბილისი: გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, 2011).
- Daiseli, Vanler. *"Mzis Siskhli"*. Tbilisi: Tbilisis meria, 2018 (დაისელი, ვანლერ. „მზის სისხლი“. თბილისი: თბილისის მერია, 2018).
- Gaprindashvili, V. *Leksebi. P'oema. Targmanebi...* Tbilisi: gamomtsemloba "merani", 1990 (გაპრინდაშვილი, ვ. *ლექსები. პოემა. თარგმანები...* თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1990).
- Gochiashvili, E. *Tskhovrebagaumt'ari*. Tbilisi: gamomtsemloba "saunje", 2013 (გოჩიაშვილი, ე. *ცხოვრებაგაუმტარი*. თბილისი: გამომცემლობა „საუნჯე“, 2013).
- Guramishvili, D. *"Davitiani". Kartuli P'oedia Tkhutmet' T'omad. T'. 4*. Tbilisi: gamomtsemloba "nak'aduli", 1975 (გურამიშვილი, დ. „დავითიანი“. *ქართული პროზა თხუთმეტ ტომად*. ტ. 4. თბილისი: გამომცემლობა „ნაკადული“, 1974).
- Hoizinga, I. *Homo Ludens*. Tbilisi: 2004 (ჰოიზინგა, ი. *Homo Ludens*. თბილისი: 2004).
- K'armeli, Sh. *Babiloni*. Tbilisi: gamomtsemloba "dedaena", 2000 (კარმელი, შ. *ბაბილონი*. თბილისი: გამომცემლობა „დედაენა“, 2000).
- Khanzen-Lyove, A. *Pusskoy Simvolizm*. Sankt-Peterburg: akademicheskii proekt, 1999 (Ханзен-Лёве, А. *Русской Символизм*. Санкт-Петербург: Академический проект, 1999).
- Kharanauli, B. *Leksebi*. Tbilisi: gamomtsemloba "sabch'ota sakartvelo", 1984 (ხარანაული, ბ. *ლექსები*. თბილისი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, 1984).

- Kharanauli, B. Targmani Amerik'ulidan. Met'ap'oet'uri Nats'eri. *Arili*, №1 (Mart'i), 2014 (ხარანაული, ბ. თარგმანი ამერიკულიდან. მეტაპოეტური ნაწერი. *არილი*, №1 (მარტი), 2014).
- Khintibidze, A. *Kartuli Leksmtsodneoba*. Tbilisi: Tsu gamomtsemloba, 2000 (ხინთიბიძე, ა. *ქართული ლექსმცოდნეობა*. თბილისი: თსუ გამომცემლობა, 2000).
- K'ot'et'ishvili, V. *Ts'erilebi*. Tbilisi: gamomtsemloba "art'anuji", 2016 (კოტეტიშვილი, ვ. *წერილები*. თბილისი: გამომცემლობა „არტანუჯი“, 2016).
- Lork'a, Federik'o Garsia. *Boshuri Romansero*. Tbilisi: gamomtsemloba "int'elekt'i", 2020 (ლორკა, ფედერიკო გარსია. *ბოშური რომანსერო*. თბილისი: გამომცემლობა „ინტელექტი“, 2020).
- Orbeliani, Sul Khan-Saba. *Leksik'oni Kartuli*. II. Tbilisi: gamomtsemloba "merani", 1993 (ორბელიანი, სულხან-საბა. *ლექსიკონი ქართული*. II. თბილისი: გამომცემლობა „მერანი“, 1993).
- T'abidze, G. *Tkhzulebani Tkhutmet' T'omad*. T'. II. Kartuli Lit'erat'uris Inst'it'ut'i, Tbilisi: 2016 (ტაბიძე, გ. *თხზულებანი თხუთმეტ ტომად*. ტ. II. ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. თბილისი: 2016).
- Tsanava, R. *Met'apora*. Tbilisi: lit'erat'uris inst'it'ut'is gamomtsemloba, 2009 (ცანავა, რ. *მეტაფორა*. თბილისი: ლიტერატურის ინსტიტუტის გამომცემლობა, 2009).
- Tsirek'idze, S. Ts'ignshi: *Kartuli Miniat'uruli P'roza*. Tbilisi: gamomtsemloba "lomisi", 1992 (ცირეკიძე, ს. წიგნში: *ქართული მინიატურული პროზა*. თბილისი: გამომცემლობა „ლომისი“, 1992).
- Tsvarnami (DaviT Mebuk'e). *Aisi*, 1918, №1: 1910-1920-iani Ts'lebis Zhurnalebi. I-IV Ts'ignebi. Ts'. I. Tbilisi: Giorgi Leonidzis Sakhelobis Kartuli Lit'erat'uris Muzeumi, 2011 (ცვარნამი (დავით მეზუკე), აისი, 1918, №1: 1910-1920-იანი წლების ჟურნალები, I-IV წიგნები. ნ. I. თბილისი: გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის მუზეუმი, 2011).
- Ch'iladze, T. <https://poetry.ge>poets.poems> (ჭილაძე თ. <https://poetry.ge>poets.poems>)
- Ch'iladze, O. <https://poetry.ge>poets.poems> (ჭილაძე თ. <https://poetry.ge>poets.poems>)

Tamar Barbakadze
(Georgia)

The “Moon” and “Somnambulists” of Georgian Poetry (some observations)

Summary

Key words: somnambulism, Vanler Daiseli, metaphor, symbol.

The paper deals with the genesis and transformation of the moon metaphor in Georgian poetry. Popularity of unconventional verse, ignoring of basic poetic parameters (meter, rhyme, stanza) enhanced the depth and meaning of figurative speech in poetry. The moon metaphor took shape especially in Georgian modernist literature of the early twentieth century and modern metapoetry.

J. Huizinga considers poetry within a game framework. The mystery of the poetry, the function of a riddle, game unites modern reader and the poet best of all. Every image contains the answer to an enigma through the game. In poetry this game is especially tense and excitable.

The mystery of the origin of the Georgian alphabet is connected with the metaphor-symbol of the moon, and in one of the oldest Georgian folk mythological verse, the moon is presented as a writer (“the bright moon ...” “wrote letters with the sun”). In Georgian folk poetry, a poet is on a par with the moon. In the same way, a female protagonist of the *Vephistkaosani*, Nestan-Darejan whose constant metaphor in the poem is the moon, is also connected with writing. She writes a letter to Tariel (the sun) from the fort of Kajeti. Similar to the ancient Georgian mythological verse, in *Vephistkaosani* the moon also represents a poet who writes poems to the sun.

This study pays special attention to the interpretation of the moon paradigm in Galaktion Tabidze’s poem “Death from the Moon”. When interpreting the moon metaphor, we rely on the Paul Ricoeur’s metaphorical theory and psychological aspects: in the process of imagination, a delay acquires particular importance as a stage to produce new reality, invention. The poet is this genius who generates split references by creating fictions.

It is suggested that the allusions of Nikoloz Baratashvili’s poem “Twilight over Mtatsminda” unite G. Tabidze’s two poems: “The Moon over Mtatsminda” and “Death by the Moonlight”. The iris-blue moon against the background of dark-blue rivers is visually perceived. The feeling of an innocent soul tired of prayer (moon) is perceived through the fragrance (flower field). Here we should also mention the connection of this artistic image with the *Vephistkaosani*; a letter sent from the fort of Kajeti has the scent of Nestan-Darejan’s hair.

In conclusion, it is mentioned that we rely on Paul Ricoeur's view of the relationship between the concepts of poetic image and poetic sensations, i.e., in this case, it determines the relationship between agreement and disagreement – at the level of thought (delay) and necessity (reference).

The way of conceiving the symbol of the moon metaphor in G.Tabidze's mystical poem ("Death by the Moonlight") is related to the joining with mystical process of writing the verse by a symbolist poet.

The way of unraveling the metaphor-symbol of the moon in G.Tabidze's mystical poem ("Death by the Moonlight") is related to the communion with the mystical process of writing the verse by a symbolist poet. Both in "The Moon over Mtatsminda" and the "Death by the Moonlight", G. Tabidze leads us to the mysterious, imaginary world of "nonbeing" against the background of the death of reality ("being"). The poem "Death by the Moonlight" is written using allusions to the read books (imagination) and accompanied by twilight (perception). The recognition of the moon paradigm in analyzed verse is explained by the close connection between imagination and perception when comprehending the semantic side of the metaphor. When imagining the "read books", first of all, "Vepkhistqaosani" and Nikoloz Baratashvili's "The Moon of Mtatsminda" are meant, and a "stream of violets" pouring from the moon, "myrrh-bearing women of Syria" are explained by the perception of the Holy Spirit, the patron of poetic inspiration. "Blue, foamy waves of rivers rush towards the Black Sea and the Caspian Sea" – this metaphor underlines a connection between heaven and earth.

G. Tabidze's moon unfolding like a flower, most often is of iris blue, dark blue ("The Moon over Mtatsminda", "The Heart", "The Death by the Moonlight", etc.). Imagining the colors in the "Vepkhistqaosani", we recall deadly pale Taniel, restored at the sight of lion's blood against the background of red, yellow, blue colors. These colors also dominate in the analyzed poem of Galaktion Tabidze.

Striving of the rivers illuminated by blue moonlight towards the Black and Caspian Seas is an eternal strive for merging the individual and eternity, the national (Georgian) and the universal (world). G. Tabidze's "Death by the Moonlight" is inspired with anti-solar, somnambulistic aesthetics: it is an expectation stored in memory, different from solar existence. According to the analyzed poem, the poet-moon Nestan and her beloved sun – Taniel (blue river) – the sun forms a new poetic consciousness through the eternal union of the moon and the sun.

The paper shows that the metaphor "blue rivers" in G. Tabidze's poem "Death by the Moonlight" determines the artistic image of the lyrical masterpiece of the well-known modern Georgian poet Besik Kharanauri's "February". Iori Floodplains": "The moon illuminates the blue rivers of Georgia." The "dark blue wave" (G. Tabidze) and the "dark blue rivers" (B. Kharanauri) are perceived as the union of heaven and earth.

Striving of the rivers illuminated by dark blue moonlight towards the seas is a symbol of merging of the individual, the personality with the eternal, the way of endless development of the national and universal, Georgian and world culture.

The moon brings together: love (general) and beloved (specific), poems (masterpieces of this or that poet) and rivers, the seas (world poetry). The national poetry joins the world literature and becomes eternal under the moonlight.

The moon – a friend to lovers is the oldest and most eternal metaphor of the world poetry. The paper analyzes Federico Garcia Lorca’s “Romance sonambulo”. In “Gypsy Ballads” there is a blend of new metaphors, avant-garde and high classics (David Tserediani). In this study, Baudelairean, Lorca’s metaphor of “green moon” is associated with Terenti Graneli’s poem “The Moon from the Leaves”.

The paper also deals with V. Bryusov’s game theory and the principle of panestheticism: the structures of the life text represent thematic material and “tools” for literary texts: life is given to a poet to be transformed into art, and vice versa, art is necessary for it to become life. At the same time, only the life of a poet, the cult of self-expression and the “theatricalization of life” are considered real life.

For Galaktion Tabidze, the author of “Artistic Flowers”, the opportunity to be established in the reality is metaphorization of feeling created by visual image of “read books” and “Georgia’s blue rivers”. The inspiration source of G.Tabidze’s “moon” is considered to be one of the miniatures of Charles Baudelaire’s collection “Poems in Prose”.

The paper analyzes the semantics of the word “somnambule” according to interpretations of Sulikhan-Saba Orbeliani and David Guramishvili. In the epoch of Renaissance (18th century), a somnambulist was considered a “devil”, “demon”, sick person. David Guramishvili calls somnambulist martyr by sky.

Symbolists as is known recognized demonic position of a poet-demiurge who is opposed to absolute supremacy of God-creator. “Tanatos” (death) and “eros” (love) peculiarly intersect during understanding of the essence of a poet-somnambulist.

The artifacts of “somnambulist” are for the first time found in Valerian Gaprindashvili’s “Daisi” in the poem “Somnambula”. This collection and its author became a source of inspiration for the poet Ivane Babuadze, persecuted by Soviet regime, who chose the pseudonym Vanler Daiseli by poetic inspiration. The moon metaphor in Vanler Daiseli’s poems is nourished by the poems of Valerian Gaprindashvili, G. Tabidze, Terenti Graneli.

On January 27, 1925, Vanler Daiseli (Ivane Babuadze) founded the Somnambulist group of modernist poets, whose members were: Shango Polius, Klimenti Tevzadze, David Peradze.

In the journal “Literatura da Skhva” (1924-25, #1), Avant-gardists, Georgian futurists linked the theme of the somnambulist with ancient spells and riddles in a new

way, applied to Georgian mythology and folklore, through sound and euphony. The paper deals with the poems and miniatures about somnambulists by representatives of the Georgian avant-garde, futurism: Nikoloz Chachava, Tsva-Nami (David Mebuki), symbolist group “Blue Horns” (Shalva Karmeli), Sandro Tsirekidze.

Marinetti is known to have referred to the Symbolists as “the last lovers of the moon”; However, Georgian poetry on the verge of the 20th-21st centuries proves quite the opposite: the moon is still an immortal metaphor: of a poet, an eternal sweetheart, pondering about the homeland (Otar Chiladze, Tamaz Chiladze, Zviad Gamsakhurdia, Ella Gochiashvili).